

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a>
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შავი ზღვისა და კავკასიის არქეოლოგია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	არქეოლოგიის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	120
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრები არქეოლოგიის სფეროში, სამეცნიერო კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისათვის. სამაგისტრო პროგრამა ისეა აგებული, რომ მაგისტრებს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა არქეოლოგიის თეორიული და მეთოდოლოგიური მიმართულებებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ და ამ გზით მოამზადოს ისინი ერთი მხრივ პრაქტიკული საქმიანობის, მეორე მხრივ კი სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებისათვის.
სწავლის შედეგები	<p><b>ცოდნა-გაცნობიერება:</b> აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა არქეოლოგიის თეორიული და მეთოდოლოგიური მიმართულებებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ; ფლობს კვლევის თანამედროვე მეთოდებს; აქვს დაზვერვების, გათხრების დაგეგმვის, ორგანიზების, სტრატეგრაფიისა და კულტურული ფენების განსაზღვრის, აღმოჩენილი მასალების მორფოლოგიური, ფუნქციონალური, ტიპოლოგიური კლასიფიკაციის, სისტემატიზაციის, კამერალური სამუშაოების თუ კვლევის დარგობრივი უნარ-ჩვევები;</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</b> შეუძლია არქეოლოგიური და წერილობითი მონაცემების შეჯერება, ნივთიერი მასალის ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური დამუშავება, ახლად აღმოჩენილი ნივთიერი მასალების ხასიათის განსაზღვრა, აღწერა, დახასიათება, კლასიფიკაცია, დათარიღება, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება;</p> <p><b>დასკვნის უნარი:</b> შავიზღვისპირეთის და კავკასიის კულტურათა კომპლექსური შესწავლა, შეპირისპირება და არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება; საკვლევი პრობლემის გამოკვეთა და დასაბუთება, მეთოდოლოგიური საფუძვლის განსაზღვრა, ემპირიული და თეორიული მასალის შეჯერება და ამის საფუძველზე ისტორიული პროცესების თუ ცალკეული მოვლენების ანალიზი, ობიექტური დასკვნების გაკეთება; ველზე წამოჭრილი ახალი და რთული პრობლემების გაცნობიერება, ანალიზი, მათი გადაჭრის სტრატეგიის დაგეგმვა და სწორი დასკვნის გაკეთება;</p> <p><b>კომუნიკაციის უნარი:</b> კომპიუტერული და ინტერნეტრესურსების დარგთან მიმართებაში გამოყენების უნარი; შეძენილი ცოდნისა და არქეოლოგიური კვლევის შედეგების გადაცემა აკადემიური და არაკადემიური აუდიტორისათვის; თეორიული, კვლევითი და პრაქტიკული შედეგების წერითი და ზეპირი ფორმით პრეზენტაცია.</p> <p><b>სწავლის უნარი:</b> შეუძლია სწავლებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დამოუკიდებლად წარმართვა და დარგში მიღებული ცოდნის მუდმივად განახლება. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა, კვალიფიკაცია, კომპეტენცია და მეცნიერული კვლევის უნარი მაგისტრს მისცემს შესაძლებლობას, შექმნას მაღალი მეცნიერული ღირებულების მქონე ნაშრომი შავიზღვისპირეთისა და კავკასიის არქეოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემაზე.</p> <p><b>ღირებულებები:</b> აქვს საქართველოს და მისი ისტორიული უახლოესი მეზობელი სახელმწიფოებისა და ერების უძველესი ისტორიისა და კულტურის პატივისცემა და შეუძლია ამ იდეების საზოგადოებაში დამკვიდრება; დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით მუშაობასა და სასწავლო პროცესში ინოვაციური ღირებულებების შეტანა და დანერგვა.</p>
შეფასების წესი	<b>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</b> ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D)

	დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: <b>შოთა მამულაძე</b> , პროფესორი ტელ.: 277909; მობ.: 595352120; e-mail <a href="mailto:Shota.mamuladze@bsu.edu.ge">Shota.mamuladze@bsu.edu.ge</a>